# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური  წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 60 40


N 97
30/10/2015

97-08-4-201510301715

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**დ. ჩოხატაურში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის“ საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრში (პკ 9+80-ში) მდინარე სუფსაზე  მდებარე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო ხიდისთვის მერაბ ახობაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

**საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს დ. ჩოხატაურში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის“ საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრში (პკ 9+80-ში) მდინარე სუფსაზე მდებარე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო ხიდისთვის მერაბ ახობაძის სახელის მინიჭება მოხდეს გამონაკლისის სახით, მისი გარდაცვალებიდან 20 წელის გასვლამდე.

**მუხლი 2.**

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

**მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა